ქ. თბილისი

აპრილი 2022 წელი

სოციალური მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯების ფარგლებში
საქონელი/მომსახურების/სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №1

სხდომას თავმჯდომარეობდა სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

თამილა ბარკალაია ——— სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სხდომას ესწრებოდნენ:

გიორგი ჭანტურია ——— სააგენტოს დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;

გიორგი გელაშვილი ——— სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ავთანდილ ვასაძე ——— სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

გია აფხაზავა ——— სააგენტოს სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტის უფროსი;

ალექსანდრე ვაშალომიძე ——— სააგენტოს სოციალური დახმარებების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი;

ტარიელ იშხნელი ——— სააგენტოს ეკონომიკური დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

სოფიო მიქაია ——— სააგენტოს ეკონომიკურ დეპარტამენტში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, აპარატის წევრი.

დღის წესრიგი:

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ფულადი გასაცემლების გაცემის/დარიგების საბანკო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოსაცხადებელი ორეტაპიანი ტენდერის (CPV66100000; 66110000) სატენდერო პირობების განხილვა და დამტკიცება.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის აპარატმა სხდომას დასამტკიცებლად წარუდგინა „ზოგიერთი სახელმწიფო გასაცემლის დარიგება/გაცემის მიზნით საბანკო მომსახურების პირობების განსაზღვრის უწყებათაშორისი კომისიის შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 ივლისის №1290 განკარგულებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის მიერ საბანკო მომსახურების შესყიდვის მიზნით შედგენილი (შემუშავებული) ტექნიკური დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, გამარჯვებულმა პრეტენდენტმა მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყოს 2023 წლის 01 იანვრიდან 7 (შვიდი) წლის ვადით - 2029 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში, ხოლო გასაწევი მომსახურება უნდა დაფინანსდეს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. ტენდერის სავარაუდო ღირებულება, ჩატარებული ბაზრის კვლევის შედეგების გათვალისწინებით, განისაზღვრა 105,000,000.00 (ასხუთი მილიონი) ლარს.
კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მიზანშეწონილია საქართველოს მთავრობის განკარგულებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისია მოწვეული იქნება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ(ებ)ის მიერ წარმოდგენილი

წინადადებების განხილვისა და გამარჯვებულის გამოვლენის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, სათათბირო ხმის უფლებით, მათი სურვილის შემთხვევაში.

აზრი გამოთქვეს:
სატენდერო კომისიის წევრებმა მოიწონეს და დადებითად შეაფასეს კომისიაზე წარმოდგენილი სატენდერო პირობების პროექტი.

კომისიამ დაადგინა:
1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 28 ივლისის №11 ბრძანების და 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს სატენდერო დოკუმენტაცია.

2. განხორციელდეს სატენდერო კომისიის ოქმის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა და ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის გამოცხადება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მეთოდით (აბრევიატურა: MEP), შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით - 105,000,000.00 (ასხუთი მილიონი) ლარი.

3. ეთხოვოს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 ივლისის №1290 განკარგულებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს, კომისიის წევრების ინფორმირებაში დახმარება, სატენდერო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მიღების თაობაზე.

კომისიის სხდომის ოქმი კომისიის წევრების მიერ დამტკიცებულ იქნა.

კომისიის თავმჯდომარე:
თამილა ბარკალაია

კომისიის წევრები:

გიორგი ჭანტურია

გიორგი გელაშვილი

ავთანდილ ვასაძე

გია აფხაზავა

ალექსანდრე ვაშალომიძე

ტარიელ იშხნელი

კომისიის აპარატის წევრები:

სოფიო მიქაია

ოქმი გააფორმა:
ს. მიქაიამ

LEPL SOCIAL SERVICE AGENCY
Digitally signed by LEPL SOCIAL SERVICE AGENCY
Date: 2022.04.12 17:22:38 +04'00'